# ივერია

გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდჟაველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნებისმაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


დღესასწაულების გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 18 აგვისტოს

ორშაბათს, 17-ს აგვისტოს, დილის ცხრა საათზედ, სიონის საკათედრო სობოროში გადახდილ იქმნება ორმოცის წირვა და მასთან პანაშვიდი განსვენებულის კნეინა ნინა ალექსანდრეს ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის სულის მოსახსენებლად. ძე გარდაცვალებულისა, თ. ალექსანდრე ივანეს ძე ჯამბაკურიან-ორბელიანი, და რძალი, კნეინა მარიამ ვახტანგის ასული ჯამბაკურიან-ორბელიანისა, აუწყებენ ამას ნათესავთა და ნაცნობთა. (1—1)

ტფილისი, 14 აგვისტო

ერთს ჩვენს წერილში გაკვრით შევეხენით ერთს ფრიად შესანიშნავ ამბავს. ჩვენ ვამბობდით, რომ ჩვენი ინტელიგენცია ჩვენს მწერლობას ძალიან მცირედს თანაგრძნობას უჩენს და თითქმის სრულიადაც ივიწყებს. ჩვენ შეგვეძლო ამ გვარი ჩვენი აზრი დაგვესაბუთებინა იმოდენად, რომ მკითხველი ძნელად დასაჯერებელს ამბავს დაიჯერებდა და თუ ჩვენ ეს არ მოვიმოქმედეთ, მხოლოდ იმისათვის, რომ მხედველობაში გვქონდა სხვა-და-სხვა შესაწყნარებელი მიზეზები. აქ არ შევუდგებით იმის გარჩევას, თუ სად უნდა ვეძიოთ იმ ფრიად სამწუხარო და უგვანო მოვლენის მიზეზნი, რადგანაც მკითხველი, თუ კარგად ახსოვს წარსული წერილები, თითონაც კარგად შეიგნებს ამ მიზეზებს. ხოლო შესაძლებელია ვინმემ გვიპასუხოს, რომ ჩვენი აზრი მეტად გაზვიადებულია და ამიტომაც სამართლიანი არ არის; შესაძლოა ისიც სთქვან, ვითომ ინტელიგენციის მწერლობისადმი გულ-გრილობა და ამ გულ-გრილობის ბრალი თვით მწერლობის უფერულობასა და მის ღირსებაში უნდა ვეძიოთ. ამიტომაც ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ ის სამწუხარო მოვლენა და ვუჩვენოთ მკითხველს, რომ ზემოდ მოხსენებული საყვედური მწერლობისადმი უსაფუძვლოა და ამიტომაც უმართლო არის, და აი რა მიზეზებით.

ყოველი ჭეშმარიტი ინტელიგენცია, რომელსაც საგნადა აქვს თავისის აზრების მოძღვრობა და საზოგადო სამსახური, მოწადინებული უნდა იყოს საქმიანი სიტყვა და სიტყვის გამავრცელებელი დ[ა] დედამიწის ზურგზედ მომფენი მწერლობა თავის საკუთარს საქმედ გაიხადოს. მწერლობას ხომ ვერავითარი სახსარი საზოგადო მოღვაწეობისა, მოქმედობისა, ვერ შეედრება სიწმინდით, პატიოსნობით, ესე იგი, როგორც წინედა ვსთქვით, მწერლობა უნდა იყოს „წმინდათა წმინდა“ ყოველის ჭეშმარიტ ინტელიგენციისა; იგი ისეთი ტაძარია, რომლის შებღალვა უხდრესი დანაშაულობაა, მომაკვდინებელი ცოდვაა; იგი ისეთი ტაძარია, რომელშიაც რაკი შევალთ, არ უნდა შევიყოლიოთ ქვენანი გრძნობანი ავ-გულობისა, ავ-ენობისა, ერთმანერთის შებღალვისა, წეწვისა და გლეჯისა. ამ ტაძარში წმინდის, მიუსყიდველის და სამართლიანის გულით უნდა ვზრუნავდეთ ქვეყნისათვის.

მართალია, ყველა მწერლობა ასეთი არ არის, ბევრნი იმას ჰხადიან ისეთ სახსრად, როგორიც მაგალითად ერია, რომელიც, ჩვენის ანდაზისამებრ, მარტო თავისაკენ ითლის. ბევრს უკვე შეუბღალავთ იგი წმინდა ტაძარი და ვაჭრობის მოედნად გაუხდიათ, სადაც თავიანთი ქვენა გრძნობანი გამოაქვთ და ასაღებენ ხშირად ოქროს ვარაყით დაფერილებსა. ეს მოვლენა შეგვიძლიან შევნიშნოთ იქ, სადაც სულ-დაბლობას და სულ-მოკლეობას შეუგნია, რომ სიტყვა, მწერლობა, ძლიერი ფარია და ძლიერი ხმალი და მხოლოდ ამიტომაც წაუვლია იმისთვის ბინძური დ[ა] ურცხვი ხელი...

თავ-მოწონებით, წრფელის გულით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი მწერლობა არ არის მაგ გვარ მდგომარეობაში; იგი ჯერ არ გამხდარა რომლისამე ქვენა გრძნობის, სულ-დაბლობის, სულ-მოკლეობის მოსამსახურედ. იგი ჯერ ნორჩია და ამიტომაც გაურყვნელია; იგი ჯერჯერობით არ გასულა იმ წრისაგან, რომელიც ჩვენ შემოვუხაზეთ ნამდვილს მწერლობას, და ღმერთმან ააცილოს ჩვენ მწერლობას ამ წრისაგან გასვლა. მართლადაც, თუ ჩვენის მწერლობის ხასიათს, თვისებას, ან უკედ ვთქვათ, მიმართულებას დაუკვირდებით, არ შეგიძლიანთ არ აღიაროთ, რომ იგი მიზდევს მხოლოდ საზოგადო საჭიროების სამსახურს, ჭეშმარიტების მოძღვრებას, რამდენადაც ეს მის ხელთ არის. ჩვენ აქ ვახსენებთ, რასაკვირველია, იმ მწერლობას, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში უმთავრესი კვალი, სვე გაუტანია და დაუჩნევია. რა თქმა უნდა, ჩვენს მწერლობაშიაც არის მაგალითები სულ-დაბლობისა, სულ-მოკლეობისა, მაგრამ ესენი მხოლოდ ცალკე მაგალითები არიან, უხანონი, უდღეონი და ჩვენის მწერლობის მტვერსა და ფეხის ნატერფალს უფრო შეადგენენ, ვიდრე განსაკუთრებულს შტოსა და მდინარეობას. მაინცა და მაინც ამ არა საქებურ ცალკე მაგალითებშიაც ვერ გვიჩვენებთ იმისთანა რასმეს' რომ სულ-დაბლობას, სულ-მოკლეობა'ს შეებედნოს რამ პირდაპირ და გულ-ახდილად იმ დედა-აზრისათვის, რომელიც საგნად ჰქონია უკეთესს და უმთავრესს ნაწილს ჩვენის მწერლობისას. ყოველივე, რაცა ვსთქვით, შეეხება ჩვენის მწერლობის მიმართულებას და ჯერ თვითონ მწერლობის შინაგან ძალღონეზე-კი არას ვამბობთ.

დიაღ, იმ უმთავრესს ნაწილს ჩვენის მწერლობისას ჯერ არ უღალატნია მწერლობის ნამდვილის დანიშნულებისათვის და აი ეს არის მისი უმთავრესი ღირსება, მისი უდიდესი ძალა, მისი სიკეთე და ბრწყინვალება. ამაებს, სამწუხაროდ, ბევრნი ივიწყებენ და ყურს არ ათხოვებენ; მხოლოდ მდაბიოს, სწავლისა და ჭეშმარიტების მეძიებელს კაცს შეუგნია მისი სიკეთე, შეუნიშნავს მისნი თვისებანი, და ამიტომაც იგი ეგოდენის პატივისცემით, ეგოდენის გულმოდგინებით, გულ-მხურვალებით ეკიდება ჩვენს მწერლობასა. იგი მას უყვარს, რა-კი მწერლობაში ჰპოულობს პირ-უთვნელს და გულ-წრფელს დარიგებასა და ხელ-მძღვანელობასა. თუ ჩვენი მწერლობა მაგ სიკეთის გზაზედა სდგას, — და ეს ხომ უეჭველია, — რისთვის ეპყრობა მას ესე გულ-გრილად, ესე შეუფერებლად ჩვენი ინტელიგენცია.

ამ საკითხავზედ მოკლედ მოგახსენებთ, რომ ამის მიზეზი თვით ჩვენს ინტელიგენციაში უნდა ვეძიოთ და არა მწერლობის უკეთურობაში. ეგრეთს ჩვენს პასუხს, უეჭველია, შეიწყნარებს მკითხველი, რა-კი გაიხსენებს იმას თუ, — თუ რა თვისებანი შევნიშნეთ და დავასახელეთ ჩვენის ინტელიგენციისა.

ა. ნა—ლი

უკვე გიცით, რომ ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფონი, როგორც გაზეთები იუწყებიან, გარეგნობით მაინც, მზად არიან გული აიყარონ პრინც ფერდინანდზე, ვითარცა ბერლინის ტრაქტატის დამრღვეველზე. სხვა-და-სხვა სახელმწიფოთ უკვე მოუსდენიათ განკარგულება იმას შესახებ, თუ როგორ უნდა უყურებდნენ მათნი წარმომადგენელნი ახალს მთავარს.

# ფელეტონი

## ქართველთა შორის

ალმასივით მჭრელი კბილი ქუთათურთა.—რა შეჰრჩება ცუდს მეთევზეს?—ახირებული შრომის-მოყვარეობა.—ზარალის აყენება.—„ვის არ ჰსურს, მისცა ტყუბია“.—შესანიშნავი მკურნალები.—„ვერ ვიტყვი კახაბერად“.—მირიმანოვისეული ხიზანები.—აზნაურის სტუმრობა.

ქუთათურებს გული შიგნიდამ ჰქონიათ და მე-კი არ ვიცოდი. მეგონა, რა-კი სულ-გატვრენილები და ხმა-ჩაკმენდილები არიან, ალბად ძილის გუდებად გადაქცეულან-მეთქი. როგორც ყბა-ღია კაცმა, ავდექი და საქვეყნოდ ვაღიარე, რაც ენაზე მომადგა. ვაღიარე და ეხლა ძალიანაცა ვნანობ, მაგრამ რაღა დროსია?

წამხდარ საქმესა რას არგებს
მერე-ღა თითზედ კბენანი?

წავიხდინე საქმე და გავხდი ქუთათურთა ყბად-ასაგდები. მერე როგორი ალმასივით მჭრელი კბილი ჰქონიათ ქუთათურებს! ღმერთმა ყველა ქრისტიანი დაიფაროს, და თქვენს მტერს მოჰხვდეს მათი კბილი...

რას ბოდავს ის ვინც-ღა ქართლელიო—შემომიკურთხეს, ბატონებო, თქვენს უმორჩილესს მონას. აბა ჩვენს ბულვარებსა ჰკითხეთ, თუ გვძინავსო. ლამის გავცვდეთ ფეხებიდამ, იმდენს დავჩინდრიკავთ და „დავგლიჯინობთ“ კაცით-ქალიანად ჩვენს ქუჩებზედაო. თუ ეს სიცოცხლისა და სიმარდის ნიშანი არ არის, მაშ რა ჯანდაბააო. ენას ხომ ისე ვალაქლაქებთ, რომ რაც უნდა ჭკვიანი კაცი მოგვევაროთ, ნახევარ საათში ისე გამოგილაყოთ იმისი თავი, რომ დამპალმა ნესვმაც ვერ აჯობოსო. სალამოს შვიდ საათიდამ დილის შვიდს საათამდის მუდამ დღე რამსსა ვთამაშობთ, და კიდევ გამოძუნძულდებიან ნამძინარევი (გახლავართ ბიჭებო!) ქართლელები (ამას ჩემზე ამბობენ, ბატონებო, თქვენ თავზე ნურავინ მიიღებთ) და გაბოხებულის ხმით ღრიტინობენ—მძინარები ხართ ქუთათურებიო. ერთის სიტყვით, ფეხებსაც ვამოძრავებთ, კუჭსაც, ენას ხომ რაღა და რაღა, ხელებსაც თავიანთი საქმე აქეთ—ხან ერთს მივამტვრევთ ფერდებსა და ხან მეორეს, თუ ძალიან იწყინა და, ისეთ ადგილას ვუკრავთ თავსა, საიდამაც აღარავინ აღარ დაბრუნებულა ამ წუთისოფლისაკენაო...

**

ასე რიგ-რიგად ჩამომითვალეს სხეულის ასოები და აღმოჩნდა, რომ არც ერთი მათგანი არ არის მოსვენებაში. ერთი თავი-ღა დაგვრჩა კაცის აგებულებაში, მაგრამ ეს თავი სჯობს ბოლოში მოვაქციოთ, რადგან თავობას ვერ გვიწევს, და ვგრძნობთ, რომ ტვინის ვარჯიშობა ჩვენთვის სრულიადაც საჭირო არ არისო: ზოგს კაცს თავდაპირველვე არ დაჰყვება ხოლმე ტვინი, მაგრამ მაინც სცხოვრობს. რას ჩაგვცივებიხართ, რა გინდათ ჩვენგანაო.

მაგრე იტყოდით აქამდის, თქვე კაი კაცებო, თორემ გასჩუბებულხართ და აბა აქედამ რა გავიგო! და თუკი მართლა მაგრეა საქმე, აბა მეტი რაღა დამრჩენია, რომ თითი არ მოვიკაკვო. რა ვქნა, უნდა ჩემს თავზე მივიღო, რომ

ცუდსა მეთევზეს შერჩება
უბრალოდ წყალთა მღვრევანი.

სულ ტყუილა მისროლია ბადე ქუთაისის ცხოვრების კამკამა მორევში. მაგრამ ჩემი სინანული გულ-წრფელია და თითონ ქუთათურებიც არ არიან ისეთი შურის-მაძიებელნი, რომ არ დაივიწყონ ჩემი შეცდომილება. სამაგიეროდ, ამას იქით ფთხილად და მოწიწებით მოვექცევი იმათა და წინდაუხედავად აღარას წამოვროშავ. რომ შორს აღარ გადავდოთ საქმე, აი დღესვე დავამტკიცებ ჩემს პატივისცემას მათდამი, მეტადრე მათ მოღვაწეთადმი. ვაღიარებ იმასაც, რომ ეხლა მე თვითონ ცილის-წამებად მიმაჩნია, თუ ვინმე ქუთათურებს ძილის გუდებს დაუძახებს.

**

მართლაც და, სადაური ძილის გუდაობაა, როდესაც თვით ის დაწესებულებანი, სადაც კაცს ძილის მეტი არა მოეთხოვება-რა, საშინელს მოძრაობაში არიან და ერთს წუთს არ მოისვენებენ. აბა შეიხედეთ ქუთაისის საქალაქო გამგეობაში, რა ამბავია. ბ-ნი მიქიაშვილი, ეს ამოდენა ხანია, ეხვეწება და ემუდარება გამგეობას—გეყოთ მაგოდენი შრომა და ტანჯვა, დაწყნარდით, მოისვენეთ, მადლობასაც არავინ გეტყვით მაგ ჯაფისათვის, დეე, ახლა სხვებმა იმტვრიონ თავი და თქვენ მხოლოდ შორიდგან უყურეთო... მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, ისინი არ დასცხრნენ. ჩვენ რაღა უნდა გავაკეთოთ, რომ ქალაქის საქმეები იჯარით გავცეთო. გულზედ ხომ ხელებს ვერ დავიკრებავთ და ისე ვერ ვისხდებით ტყუილადაო. ბარემ აიღეთ და სრულებით გააუქმეთ ეს რაღაც გამგეობააო.

არა, ღვთის წინაშე, მართლაც რა ქნას გამგეობამ, თუ-კი იმოდენა სიცოცხლე მიუნიჭებია მისთვის განგებასა, რომ მუხლიც ვერ ჩაუხრია, უნდა სულ აკეთებდეს რასმე და „ხლაფორთობდეს“. რადგანაც ეს ძალიან ძნელია, ამიტომაც გამგეობა არც ბ-ნ მიქიაშვილის ხვეწნას აქცევს ყურადღებას, არც აინუნში აგდებს იმ ხმებსა, ვითომც გამგეობა იმიტომ არ აძლევს ქალაქის საქმეებს იჯარით, რომ

ბუზნი მუნ შემოკრბებიან,
სადაცა თაფლი ჰსდიანო,

და ეს თაფლი სხვას რად უნდა დარჩეს, როდესაც ქალაქისთვის უფრო უპრიანიაო. არა, აქ ვერავის გავამტყუნებთ. ვისაც გული ერჯის საქმისათვის, კიდეც უნდა ისაქმოს, და ხელის შეშლა სრულიად უადგილოა ამისთანაებში, მით უმეტესს, რომ მაინც ვერ შეუშლი ხელსა—ნათქვამია:

მხნემან, ვით ჩქარმან წყარომან,
განხეთქოს მთა და გორაო.

**

თუ არ მხნეობითა და მეცადინეობით, მაშ რითი ახსნით, მაგალითად,

იგი განკარგულებანი თითქო ეწინააღმდეგებიან პრინცის მოქმედებას, მის გაბედულს პოლიტიკას. ვამბობთ „თითქო“, იმიტომ-რომ, თუ ის სახელმწიფონი მართლა კობურგის პრინცის პოლიტიკის მოქმედების თანახმანი არ იყვნენ, თავისი გარდაწყვეტილი აზრი თავის დროზე უნდა წარმოეთქვათ, რითაც ბოლგარიისა და იმის მთავრის საქმე შეიძლება ცოტათი მაინც შემსუბუქებულიყო. ამიტომაც, როგორც წინა წერილებში ვსთქვით, შეგვიძლიან ეჭვით ვუყუროთ ამ სახელმწიფოთა გულ-წრფელობას; ისიც ნება გვაქვს ვსთქვათ, რომ ბოლგარიის საქმე უნდათ გაჰხადონ სხვა უფრო რთულის და საძნელო საქმის საბაბად.

ჩვენი ეჭვი რომ უსაბუთო არ არის, ამას ამტკიცებს ევროპის ზოგიერთ გაზეთების აზრი იმ წინააღმდეგობაზე, რომელსაც ამ ჟამად სახელმწიფოები უჩვენენ პრინცს ფერდინანდს. გუშინდელს დეპეშაში მოყვანილი იყო „Berliner Tageblatt“-ის აზრი. ეს გაზეთი ამბობს, რომ სახელმწიფოთ არ შეუძლიანთ ტრაქტატების დარღვეული უფლება აღადგინონ იმ საშუალებით, რა საშუალებასაც დღეს ხმარობენ, ე. ი. საკმარისი არ არის სიტყვიერი წინააღმდეგობა და თავიანთ წარმომადგენელთათვის განკარგულების მიცემა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა უყურონ ახალს მთავარს, ბოლგარიის საქმეს და როგორ იმოქმედონ ბოლგარიაში.

რასაკვირველია, იმ ზომებმა, რა ზომებსაც დღეს ხმარობს ევროპა, შეუძლებელია ბოლო მოუღოს ახალის მთავრის გამბედაობას და სხვა რიგად დაატრიალოს ბოლგარიის საქმე, რადგანაც, როგორც თვით საქმე გვიჩვენებს, პრინცი ფერდინანდი ყურს არ ათხოვებს და არაფრად აგდებს სახელმწიფოთა სიტყვიერს წინააღმდეგობას და იმათ აზრს. ალბად იმედი აქვს, რომ იგი სიტყვიერი წინააღმდეგობა მხოლოდ სიტყვად დარჩება და არავინ იკისრებს იმას განხორციელებას.

რუსეთის მწერლობა იმ აზრისაა, რომ საჭიროა ვინმემ საქმით ხელ-და-ხელ ჩაერიოს ბოლგარიის საქმეში ბერლინის ტრაქტატის დასაცველად; უამისოდ დარღვეულ ხელ-შეკრულობათა აღდგენა შეუძლებელიაო. ვინ უნდა იკისროს ეს საქმეო, კითხულობს გაზეთი „Новое Время“. ოსმალეთმა და რუსეთმაო,— ამბობს იგივე გაზეთი და თან დასძენს რომ ოსმალეთს ჩარევა ბოლგარიის საქმეში მაინც-და-მაინც სასურველი და მოსახერხებელი არ არის; მხოლოდ რუსეთს შეუძლიან იკისროს იგი საქმე, მაგრამ იმ დრომდე, ვიდრე ევროპის სახელმწიფოები გულ-წრფელად არ იმოქმედებენ და რუსეთს არ მიემხრობიანო, იმ დრომდე რუსეთი ხელს არ მოჰკიდებს ბერლინის ტრაქტატის დარღვეულ უფლებათა აღდგენას, რადგანაც ევროპის საქციელი ბოლგარიის საქმეში საეჭვო არისო; ამიტომაც იმ სახელმწიფოთ ვერ დავენდობითო.

ამ გვარი შეხედულობა გაზეთისა სრულიად უსაბუთო არ არის. გაზეთი „Петербургскія Вѣдомости“ დიდის ეჭვით უყურებს სხვა სახელმწიფოთა საქციელს და მეტადრე გერმანიისას. ჯერ საბუთი არა გვაქვს სრულიად დავენდოთ გერმანიასაო, ამბობს გაზეთი.

როგორც მკითხველი ხედავს, ჯერჯერობით საქმე ისეა მოწყობილი, რომ თითქო ევროპის სახელმწიფოთ, ყველას ერთად, განზრახვა არა აქვთ ხელი შეუშალონ პრინცს ფერდინანდს, და ვიდრე საქმე ამ რიგად სწარმოებს, მანამდე ერთი რომელიმე სახელმწიფო ვერ იკისრებს ბოლგარიის საქმის გადაწყვეტას ბერლინის ტრაქტატის თანახმად. აშკარაა, პრინცი ფერდინანდი ბოლგარიაში იმთავრებს იმ დრომდე, ვიდრე საქმე ამ მდგომარეობაში იქნება.

ა. ს—ი

## ახალი ამბავი

*** 13 აგვისტოს ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ მოიწვია ზედამხედველი კომიტეტი და რჩევა ჰკითხა მასზედ თუ, რა გვარად გაანათოს ახლად აშენებული ქართული თეატრი და მთელი ქარვასლა არწრუნისეული, ნავთის გაზით, თუ ელექტრონით. ამ საგანზედ გამგეობამ მოახსენა ზედა-მხედველს კომიტეტს, რომ ყოველის მხრით ელექტრონით განათება უფრო უკეთესია და სასარგებლო. ამ საგანზედ გამგეობას შეუკრებია საჭირო ცნობანი და შვეიცარიის კამპანიის წარმომადგენელ ბლანშოსთან მოლაპარაკება ჰქონია. ბლანშოს უკისრნია ოთხის ათასის სანთლის სინათლე მისცეს ელექტრონითა და უთხოვნია 34,000 ფრანკი იმ პირობით, რომ ერთი მესამედი ამ ფულისა ეხლავ მისცენ და დანარჩენი ერთის წლის შემდეგ, და ამ ერთის წლით ბლანშო თავდებადაც სდგება, თუ ეინიცობაა რამ მოიშალა და ელექტრონის მოწყობილობამ სასურველად ვერ იმუშავა. ეს ბლანშო ის კაცია, რომელიც ტფილისის ელექტრონით განათებას აპირობს და ქალაქის გამგეობასთან უკვე მოლაპარაკება აქვს. ანგარიშით, რომელიც გამგეობამ წარუდგინა ზედამხედველს კომიტეტს, გამოდის, რომ ეს ელექტრონით განათება დაუჯდება ბანკს არა უმეტეს 20,000 მანეთისა და რა-კი გაიმართება, წმინდა მოგება ექმნება ბანკს ყოველ წლივ იმდენი, რომ ხუთ-ექვს წელიწადში თავნსა და სარგებელს ააყენებს. ზედამხედველს კომიტეტს მოუსმენია რა ყოველივე ესე, მოუწონებია გამგეობის აზრი და რჩევა მიუცია, რომ ელექტრონით განათება ამჯობინოს ყველა სხვა გვარ განათებასა. ბლანშო ჰპირდება თურმე, რომ 1-ს ნოემბრამდე ელექტრონი მზად იქნება და თუ მთელის ოთხის ათასის სანთლისა ვერ მოასწრო, თეატრის განათების სამყოფს-კი უსათუოდ მოასწრობ პირველს ნოემბრამდეო.

*** ურემი-ურემზე ჩამოაქვთ ტფილისში სოფ. პატარძეულიდამ ახლად გალეწილი ქერი და ფაცა-ფუცით ეძებენ მუშტარს, რომ ეგების კოდი სამ აბაზად მაინც მიჰყიდონ, ესე იგი ფუთი აბაზად. გაგიკვირდებათ ასეთი სიიეფე, მაგრამ საქმე ის არის, რომ პატარძეულელებს სთხოვენ სახელმწიფო ხარჯსა და ფული-კი არსად არის. აჩქარებით მოდიან და ჰყიდიან, მაინც აქამომდე პატარძეულმა შეაგროვა სულ ასი თუმანი და შეიტანა ხაზინაში. დარჩა შესატანი კიდევ ორას ორმოცი თუმანი. ვინ იცის, რა დაბალ ფასად უნდა გადაჰყაროს თავისი სარჩო-საბადებელი, რომ წლევანდელი გადასახადი შეიტანოს შემოდგომამდე.

სასურველი იქნებოდა, რომ აღმოეჩინათ მაზრის უფროსებს ისეთი ღონის-ძიება, რომ გლეხ-კაცს ასე არ უძნელდებოდეს ხარჯის გადახდა. ეს ხომ ვიცით, რომ გლეხ-კაცი იხვეწება — ოღონდ შემოდგომამდის დამაცადეთ და უთქმელად ჩაგაბარებთ, რაც შემხვდება ხარჯიო. თუ ამაზედ ვერ ენდობა მთავრობა, მაინც კიდევ შესაძლოა შეღავათის მიცემა და ეს შეღავათიც ამ გვარი უნდა იყოს: დღეს გლეხკაცს მიაქვს თავისი სარჩო და ერთი სამად იეფადა ჰყიდის, რომ ღონე რამ იღონოს. აი აქ შეუძლიანთ მაზრის უფროსებს ხელის გამართვა. იმ სარჩოს ნუ კი გააყიდვინებენ, არამედ მოხელეებს დაავალონ, რომ ეს გასაყიდი სარჩო საწყობებში შეინახონ ბეთა და გაჰყიდონ მაშინ, როდესაც კაი ფასი ექნება ამ საქონელს. ერთის ნაწილით ასდგება გადასახადი და დანარჩენი წავა ისევ გლეხის სასარგებლოდ.

*** ამ გადასახადის მოსაშორებლად ქიზიყელებიც სწვევიან ტფილისსა. მაგრამ ამითი საქმე ცოტა სხვა ნაირია. იმათ სარჩო-კი არ ჩამოუტანიათ, არამედ ჩამოსულან სამუშაოდ და დაუნებებიათ თავი საკუთარის მოსავლის შემუშავებისათვის. ისინი ჯერ წინანდალში წასულან, მაგრამ იქ ვერა უშოვნიათ-რა, და მერე გამოუწევნიათ თბილ ქალაქისაკენ. აქ ერთი საქმე ამოუღიათ თვალში, მაგრამ მოცილედ გამოსჩენიათ სხვანი რომელთაც აუღიათ ხსენებული სამუშაო. ქიზიყელები დარჩენილან უსაქმოდ. უცხოვრიათ ვაი-ვაგლახით და ნახევარზე მშიერი, ვერა უშოვნიათ-რა, შემოუჭამიათ ის ორიოდე გროშიც, რაც შინიდამ წამოუღიათ, და ეხლა დაბრანძულ-დაკონკილები, მშიერ-მწყურვალნი ბრუნდებიან ხელ-ცარიელნი იმავ ქიზიყში, საიდამაც ასე გულ-მოწყვეტილნი წამოსულიყვნენ ფულის საშოვნელად.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ წინა დღეებში ტფილისის მილის წყალი იმიტომ არა მუშაობდა, რომ კაცი არ იყო აქა, ვისაცა სცოდნოდა ხელი მაშინის მომართვაში. ბ-ნი კონრადი, ამ მილის გამკეთებელი, რამდენისამე დღით წასულიყო ტფილისიდამ და სხვებს ვერ მოეხერხებინათ წყლის მოძრაობა. დაბრუნდა თუ არა ბ-ნი კონრადი, მილმაც მაშინადვე დაიწყო მუშაობა და დააშვიდა უკმაყოფილო და ფეხის ხმის ამყოლი ხალხი.

*** შორაპნის მაზრიდამ: ამას წინად ბ-ნმა ქუთაისის სამხედრო გუბერნატორმა რევიზია გაუკეთა ჩვენს მაზრას და აქაურ მოხელეთა მოღვაწეობას. იმაზედ ვერას ვიტყვით, თუ როგორ მოიწონა ბ-ნმა გუბერნატორმა აქაური საქმეები, ხოლო ის-კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენში ხმა დადის, ვითომც ბ-ნს ეფიმოვსკის, ჩვენის მაზრის უფროსს, რომელიც აგერ ოცდა-ხუთი წელიწადია თითქმის, რაც აქა მსახურობს, ქაღალდი შეუტანია — აქედამ გადამიყვანეთო. ამის მოადგილედ ასახელებენ ბ-ნს ტერ-სტეფანოვს, რაჭის უფროსის თანაშემწეს.

*** ხაშურიდამ: სურამის გვირაბზე, ქვიშხეთის მხარეს, უთანხმოება გამოსულიათ ერთმანეთში სპარსელსა და იმერელ მუშებს. ამ უთანხმოების და ჩხუბის ნასახი დასტყობიათ რვა კაცსა. დაწვრილებით ჯერ არ ვიცით, რა ამბავია.

*** წარსულს კვირას სოფ. ქარელში იყო წარმოდგენა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოდგენილ იქმნა ორ-მოქმედებიანი კომედია „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, და მესამე მოქმედება „მათიკოდამ“. ხალხი ბლომად დაესწრო და დიდად კმაყოფილიც დარჩა მშვენიერის და ხელოვნურის თამაშით ვ. აბაშიძისა, ს. ციციშვილისა და სხვათა. არა ნაკლებ ასიამოვნა დამსწრე საზოგადოება მკაფიო და

---

შემდეგს ამბავს: ქუთაისის ერთი დარბაისელი ხმოსანი საბჭოს კრებაზე ბძანდებოდა. როდესაც იგი გულ-მოდგინებით ყურს უგდებდა ორატორთა მჭერ-მეტყველობას და იმ ზრუნვაში იყო ჩაღრმავებული, აცა რა უფრო სასარგებლო რჩევა მიეცე ამ ხალხსა ქუთაისის დღეგრძელობის განმტკიცებისათვისაო,—თურმე ამ დროს გაჩნდა ცეცხლი ხსენებულ ხმოსანის სახლში და მისცა ორასის მანათის ზარალი.

ქალაქის საბჭომ ბრძნულად ჩამოჰკიდა ძირს თავი, დიდხანს იფიქრა და გადასწყვიტა: ამ ხმოსანს რო ქალაქის დარდი არა ჰქონოდა, არც კრებაზე მოვიდოდა. ქალაქის კეთილ-დღეობის ნაღველმა შეაცოტავა მაგისი კეთილდღეობა. და რომ ამ ნაღველმა შეაცოტავა, ეს აშკარაა, იმიტომ-რომ სხვისი დარდი თუ არა ჰქონოდა, სახლში იჯდებოდა და ცეცხლს მაშინვე ფეხებს დაუბრაგუნებდა. ხომ მოგეხსენებათ, თუ-კი ხმოსანი სახლში ზის, ცეცხლი ვერ მიუდგება იმის შენობას, რადგან ყოველ ხმოსნის ფეხის ბრაგუნზე გული უსკდება ცეცხლსა. ჰოდა, რაკი კაცმა ქალაქის გულისათვის იზარალა, ქალაქი მოვალეა, აუყენოს ზარალი მთლიანად. მაშასადამე, უნდა ამოვიღოთ საქალაქო ფულიდამ ოცი თუმანი და მივცეთ დარბაისელს ხმოსანსაო.

გგონიათ, დარბაისელი ხმოსანი უარს იტყვის ამ ოც თუმანზე? დიაღ, რასაკვირველია!..

არა თუ ამ ხმოსანმა არა სთქვა უარი, სხვებიც გამოჩნდნენ ისეთები, რომელნიც აპირობდნენ მისთვის წაებაძათ. მეორე ხმოსანს თურმე ძროხა გაჰხდომოდა ავად, როდესაც იგი (ხმოსანი და არა ძროხა) საბჭოში იყო, და მკვდარი ხბო მოეგო. ამასაც თურმე განზრახვა ჰქონდა, და იქნება ეხლაცა აქვს, ზარალი აეყენებინა ქალაქსა—ქუთაისისათვის ვიღვწოდი და ვიზარალეო.

ამას იქით საკვირველიც-კი აღარ იქნება, რომ ბ-ნმა ხმოსნებმა მოიტანონ საბჭოში თავიანთი ძველი ტანისამოსი და ახლები მოითხოვონ, რადგან ესენი გაცვითეს ქალაქის სამსახურში, იზარალეს და ვითომ ამათ რაღატომ არ უნდა აუყენონ ზარალი!

ბევრი ლაპარაკი რა საჭიროა. იღწვიან ქუთაისში ხმოსნები, იღწვიან გამგეობის წევრნი, იღწვიან ყველანი, იღწვიან წრეს გარეშე.

**

სამაგიეროდ, ძალიან უჩივიან გორისა და ტფილისის საქალაქო გამგეობათა, მეტადრე თელავის „დეპუტანტებს“: უპატრონოდ არის მიგდებული ქუჩებიო. ხაცა არ გინდა და არ ელოდები, უეჭველად უნდა წააწყდე ან მკვდარ ძაღლის მძორს, ან კატისასაო. ზოგან ქუჩები იმავ სიმშვენიერით არიან მოწყობილნი, როგორადაც იყვნენ აღა-მაჰმად-ხანის დროს, და მას აქედ ფერიც არ უცვლიათო. დაგვა და გასუფთავება „მოდნაში“ არ შემოუღიათო. ტფილისში წყნეთის ქუჩაზე დაუდგამთ ფარნები მარტო თვალისათვის, თორემ ისინი მაგდენს არას ანათებენ, რადგან ერთი ფარანი იმოდენად მოშორებულია მეორეზე, რომ სინათლეს ვერ უწვდენსო. ერთის სიტყვით, ვერ მოსთვლის კაცი, რას არ იტყვიან ამ ქალაქების გამგეობათა ხელთ-უპყრობაზე. მოდი შენა და აქ სამართალი იკითხე. ქუთაისში ემდურებიან გამგეობას — ბევრსა ჰშრომობო, აღმოსავლეთის ქალაქებს-კი დანაშაულობაში უთვლიან, რომ ცოტა ყურ-მოყრუებულნი არიან საქმეში. რასაკვირველია, ყველა ჩვენებური ქალაქი შეჰნატრებს ქუთაისს და შურის კილოთი წარმოსთქვამს:

მე მსურდა ერთი, არ მომცა;
ვის არ ჰსურს, მისცა ტყუპია.

**

მაგრამ თელავს თუმცა „დეპუტანტებში“ უმტყუნა ბედმა, სამაგიეროდ ერთისა და ტყუპის მკურნალის მაგიერ, სამ-სამი არგუნა ამ ზაფხულობით. აბა იქ ავადმყოფობა როგორღა მოიკიდებს ფეხსა. მეტადრე გადამდები სენი ერთი-კი მიიხედავს კახეთისაკენ და, ეცემა თუ არა ცხვირში სუნი და გაიგებს, რომ მკურნალებით სავსეა იქაურობა, გამოტრიალდება აქეთკენ, ესტუმრება ტფილისს, გორს, ქუთაისს, ოზურგეთს, ბათუმს და სხვა ადგილებს, სადაც მკურნალებს თითონ მათი უფროსებივე უკრავენ ხელ-ფეხსა და ეუბნებიან: ჰა, ციც, წამალი არა მისცე-რა ავადმყოფსაო!..

მერე, რა ბედი დასცემია თელავსა და! აბა, ვის გაგიგონიათ, რომ კავკასიაში ექიმი თავის ფეხით მიდიოდეს აფთიაქში, თავის ხელით აკეთებდეს წამალსა, თავის ფეხით მოჰქონდეს წამალი ავადმყოფთან და თავის ხელით ასმევდეს! ეს სწორედ სასწაულთ-მოქმედებაა და ამ სასწაულთ-მოქმედებას ჰნახავთ ბედნიერს თელავში. მართალია, იქ ქუჩებს არა სწმენდენ იმ იმედით, რომ როცა იქნება, დაუბერავს ქარი და მტვერს და ბუქს გაიტანს თელავიდამაო, მაგრამ იქაური ჰავა და კიდევ სხვა ბევრი რამ არ აწვალებს ავადმყოფობას თელავში. ხალხი საღია, ნაკლებად შეჰხვდებით სნეულთ. მკურნალებს ძალიან ცოტა საქმე უჩნდებათ და ამიტომ მათ შორის კეთილ-შობილური ცილობა სასწაულს ახდენს თელავში და აკვირვებს თელაველებს.

ვაჰი, ერთი ტფილისიც უნდა გადააქციონ ისეთ საღ ადგილად, რომ არავითარს სენს აქ არ ებოგინებოდეს, მაშინ გაჩვენებდით აქაურ ექიმების ბეჯითობასა და სინიდისიერობას. თორემ ამ საძაგელ ქალაქში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ ჩამომხმარი აკლდამა არ შეგეხდეთ და გული არ შეგიღონოთ. აბა ამისთანა სნეულებში, რა თქმა უნდა, ექიმი გაყვინიზებულია თავისის ხელობით და ხშირად მთელი დღე რომ ირბინოთ და ეხვეწოთ ერთს, მეორეს, მესამეს, მოსვლაზე სამი, ხუთი, ათი მანეთი აძლიოთ, ოღონდ მოდი სახლში, მომაკვდავი ავადმყოფი ნახეო,—მითაც ვერ მიიყვანთ თქვენ სახლამდის. „არა მცალიან, თუ გნებავთ, აქ მომგვარეთ ავადმყოფიო“.

რასა იქ და რა გაეწყობა!.. ან მეტი რა გზაა!

თუ ლხინი გვინდა ღვთისაგან,
ჭირნიცა შევიწყნაროთ,

დავსხდეთ და ვუყუროთ, სადამდის წავა ტფილელ მკურნალთა უყურადღებობა ჩვენდამი. ვინუგეშოთ თავი, რომ თელავს ისეთი სამაგალითო ექიმები გამოსჩენიან. ეგების იქ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობიერის კითხვით ლექსებისა და კუპლეტებისა კ. ერისთავმა. ხვალ, 16 მარიამობისთვეს, ამავე სოფელში ხელ-მეორედ იქნება წარმოდგენა ისევ საქველ-მოქმედო აზრით. შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ ქარელის სასოფლო სკოლისა, რომლის გამართვის განზრახვაცა აქვთ ქარელელებს. წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ციციანოვისა, ბ. კ—ლი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, კ. ერისთავი, ზ. მაჩაბელი, ლ. ციციშვილი, ა. დეკანოზიშვილი და სხვანი. დივერტისმენტში მიიღებს მონაწილეობას ბ-ნი ს. მგალობლიშვილი. იმედია, რომ ქარელის საზოგადოება არც ამ წარმოდგენას დასტოვებს უყურადღებოდ.

დასასრულ, არ შემიძლიან არ მოვიხსენიო, რომ თეატრის აშენებისათვის და მის რიგიანად მოწყობისათვის დიდი ღვაწლი და შრომა მიუღიათ ქარელის რკინის გზის სადგურის უფროსს თ. მ. ციციშვილს და თ. ი. ციციშვილს, რომელსაც რიგიანად და კოხტად დაუხატნია სცენა.

*** 9 აგვისტოს, ღამით, ქუთაისის ერთს სასწავლებელში შეჰიდნენ ქურდები, გასტეხეს კასსა და წაიღეს ორი ათას ხუთასი მანეთი ფულად და დანარჩენი რვა ას თუმნამდე სახელმწიფოს მომგებიან ბილეთებად. ეს ფულები და ბილეთები ამავე სასწავლებლის პირთ ეკუთვნოდათ. ყველაზე მეტი ფული იყო უფროსისა. ამბობენ, ქურდები კიდევაც იპოვნესო, მაგრამ ფული-კი ჯერ არ აღმოუჩენიათო.

## ტფილისის ასოთ-ამწყობთ საჭიროებანი.

ტფილისში ასოთ-ამწყობთათვის არ არსებობს არავითარი დაწესებულება, რომელიც ზრუნავდეს ასე თუ ისე ამოდენა ხალხის ინტერესებზე. ამათ მიდამობაზე არც ამქრობაა, არც კანტორა და არც არაფერი. ყველა ხელობის კაცს, რაც უნდა უკანასკნელი ხელობა იყოს, შეუძლიან მიჰმართოს თავის საკუთარ საამქრო დაწესებულებას და იქ ეძიოს მფარველი, თუ ვინიცობაა საქმე გაუჭირდა რამე და ან უსამართლოდ დასჩაგრა ვინმემ. საუბედუროდ, ასოთ-ამწყობთ-კი ტფილისში არავითარი ასეთი დაწესებულება არ მოეძებნებათ და ამიტომ ტფილისის ასოთ-ამწყობნი ღვთის-ანაბრობაზე არიან მიტოვებულნი. ვინც უნდა დასჩაგროს, ვინც უნდა მოექცეს უსამართლოდ, თუ მესტამბენი, თუ წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების მბეჭდავნი და რედაქტორები, იმათი დამფარველი და დამხსნელი არავინ არის. საწყალი ასოთ-ამწყობი ამ გვარს შემთხვევაში იძულებულია მიჰმართოს სასამართლოს, მაგრამ სასამართლოში სიარული და დავიდარაბა არც იაფად უჯდება ასოთ-ამწყობს, ბევრსაც აცდენს და ხშირად არცა-რა გამოდის-რა ხოლმე აქედამ, რადგან უსამართლო ქცევის მიმდევარნი ისე არ იჭერენ მესტამბეებთან საქმეს, რომ სასამართლომ გაამტყუნოს ისინი. ავიღოთ მაგალითი: ვსთქვათ, მუშაობს ასოთ-ამწყობი მესტამბესთან რამდენიმე ხანი გადაკვეთილის ჯამაგირით. ბოლოს, მიეცა რაიმე მიზეზი და ანებებს თავს სტამბას, ასოთ-ამწყობი ითხოვს ჯამაგირს და მესტამბე არ აძლევს. მესტამბე, ჩვეულებრივ, ამ სიტყვით ისტუმრებს: „თუ გასვლა გინდა, წადი, ხელს ვინ გიჭერს; თუ იმუშავებ ჩემთან, მიიღებ დარჩენილს ფულებსაცა, თუ არა და, წადი სადაც გინდაო". ეხლა რა უნდა ჰქნას საწყალმა ასოთ-ამწყობმა! როგორ უნდა გამოართვას ის ოფლით და შრომით შეძენილი ლუკმა-პურის ფული, რომელიც სტამბის პატრონის ხელშია? რა უნდა ჰქნას საბრალომ? ვის უნდა მიჰმართოს? იჩივლოს? რით უნდა იჩივლოს? რა საბუთი აქვს ხელში? მესტამბისაგან ხელ-მოწერილი დავთარი იმას არა აქვს, რომ წაიღოს და სასამართლოში უჩივლოს. დავთრები, რომელიც აქვთ ზოგიერთ მესტამბეებს, შეუძლიანთ არც-კი გამოაჩინონ, რადგან კანონი არ ავალებს იმათ, ასეთი დავთრები იქონიონ. თუნდაც ჰქონდეს მესტამბისაგან ხელ-მოწერილი დავთარი, ასოთ-ამწყობს ზოგჯერ იმდენი რჩება ჯამაგირი, რომ ჩივილში და მოცდენაში არ აუთავდება ის ფული; მეტი ღონე არ არის, ასოთ-ამწყობი თავს ანებებს თავის საკუთრებას.

ხშირად ასეთი მაგალითიც მოხდება ხოლმე: დაიწყებენ გაზეთის ან ჟურნალის ბეჭდვას, მოიწვევენ ასოთ-ამწყობთ, ფულის დახარბებით დააკარგვინებენ ძველ ალაგს და ჰხედავთ პატარა ხანს უკან, რომ საქმის დამწყობნი ანებებენ თავს თავიანთ საქმეს, არ უსწორდებიან მუშებს, ან და თუ უსწორდებიან, მერე უშვებენ ღვთის ანაბრობაზე. ხშირად ამ გვარად ცხრა და ათი კაცი რჩება ცარიელზე, მშიერ-მწყურვალი. იმათში ხშირად ზოგი ცოლ-შვილიანია და ამის გამო უალაგოდ და უსახსროდ დარჩენა ამისთანავებისათვის უფრო დიდი საცოდაობაა.

ამას გარდა ასოთ-ამწყობთ სხვა გვარი საჭიროებაცა აქვთ. ეს საჭიროება ის გახლავთ, რომ იმათში ძრიელია სურვილი სწავლისა და ცოდნის შეძენისა, მაგრამ ამ სურვილის დაკმაყოფილებისათვის არავინ არა ზრუნავს. მოგეხსენებათ, რომ ასოთ-ამწყობი თავის ხელობის გამო ხშირად კითხულობს სხვა-და-სხვა ფრიად საინტერესო წერილებს, წიგნებს, რომელსაც თვითონვე თითო-თითო ასოობით აწყობს. ამის გამო ძალიან შეიყვარებს ხოლმე მწერლობას, მაგრამ თან იმდენი ღონეც არა აქვს, რომ მწერლობის ვითარება კარგად შეიგნოს და შეითვისოს. სასურველია, რომ ამ მხრივაც მოეელოს რამე საქმესა. ჩვენ გვგონია, რომ ნასწავლმა და განათლებულმა ხალხმა უნდა მიაქციოს ყურადღება ასეთს ყოველის კეთილის აზრის შესმენისათვის კარგად მომზადებულთ და უფრო მეტად განავითაროს მისი გონება და ბუმალის გრძნობა. ჩვენი ნასწავლი ხალხი რომ მოინდომებდეს და საკვირაო საუბარს შემოიღებდეს ასოთ-ამწყობთათვის მწერლობასა და ლიტერატურაზე, დიდად სამადლობელს საქმეს იზამდა.

ლ. ხ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. წევა (შორაპნის მაზრა), 5 მარიამობისთვეს. წევა დაბა ზესტაფონიდამ რვა ვერსტის მანძილზეა აღმოსავლეთისკენ. მთელ შორაპნის მაზრაში ამ სოფლისთანა სრიოკს და გორაკიანს ადგილზედ არც ერთი სოფელი არა სძევს. კაცს უკვირს, რა მიზეზით გაშენებულა ეს სოფელი ასეთს მიუვალსა და უადგილო-ალაგასა. არც გარემო ადგილებია ნაყოფიერი აქ. ეს გარემოება არის მიზეზი, რომ წეველებმა, თუ ყველამ არა, უმრავლესობამ მაინც, კლდეებს ხელი უშვეს, რადგან მათი შემუშავება თვით კატალონიელთაც არ შეუძლიანთ და მიჰყვეს ხელი ალებ-მიცემობას. ალებ-მიცემა, ვაჭრობა სარფა და სასარგებლო საქმე გამოდგა წეველებისათვის. წეველები გამდიდრდნენ, შვილები სკოლებში მისცეს, ბევრმა საშუალო სასწავლებელშიაც მიაბარა შვილი. ზოგიერთი ამასაც არ დასჯერდა და ეხლა და ეხლა იწყეს უმაღლეს სასწავლებლებშიაც გზავნა თავიანთ შვილებისა. ეხლა წეველებს განზრახვა აქვთ თავიანთ შვილებისათვის, როგორც ვაჟებისათვის, ისე ქალებისათვის ორკლასიანი ნორმალური სასწავლებელი დაარსონ სოფ. წევაში და ამით გაუადვილონ ახალ-თაობას სწავლა-განათლების მიღება.

თუმცა ჯერ-ჯერობით სწავლის ღირსნი გახდნენ მხოლოდ ვაჟები და ქალები მხოლოდ ორიოდეა ცოტაოდნად ნასწავლი, მაგრამ არ შეიძლება არ უძღვნათ დიდი მადლობა ამ უკანასკნელებს, რადგან მათ თავიანთი მცირე ცოდნა და სწავლა გაუზიარეს თავიანთ უსწავლელ დებს. ვერა ნახავთ წევაში ისეთ ქალს (შვიდი წლიდგან დაწყებული მოხუცებულებამდის), რომ მას არ შეეძლოს კითხვა, ქარგვა და კერვა. იშვიათად შეხვდებით ამისთანა ოჯახსაც, რომელსაც საკერავი მანქანა არ ედგას წინ და ერთის კვირის საქმეს ერთს საათს არ ათავებდეს; წერა-კითხვა, ხომ თქმაც აღარ უნდა, ყველამ იცის.

ჭეშმარიტად მადლობის ღირსნი არიან ამ ნაირ საქმის მოთავენი და ღმერთმან ჰქნას, სხვა განათლებულ ქალებსაც წაებაძოთ წეველ, ცოტად თუ ბევრად, ნასწავლ ქალებისათვის და არ დაუმარხოთ თავიანთი ცოდნა და გამოცდილება უქმად, არამედ მოახმარონ თავიანთ მოძმეთა და დათა სასარგებლოდ. ღმერთმან ინებოს! ერთი ნაწილი წეველებისა ისევ მიწის შემუშავებას მისდევს, თუმცა ძნელი საქმე-კია. ამ ნაირად წეველები ორ ნაწილად გაიყვნენ. პირველ ნაწილს, როგორც მოგახსენეთ, შეადგენენ მოვაჭრენი; მეორეს-კი—მხვნელ-მთესველნი. ამ უკანასკნელთ ნამეტანი ყურადღება მიაქციეს მევენახეობას. მევენახეობამ დიდი სარგებლობა ვერ მოუტანა ხალხს. ამას მიზეზი ზევითაც მოვიხსენიეთ: ეს მიზეზი ღონე-გამოცლილი ნიადაგი გახლავთ. წეველი მაინც არ შეუშინდა ბუნების სიმუნწეს — გააშენა ბლომად სხვა-და-სხვა გვარი ვაზი, შეაყარა მირში სასუქი და ამ ნაირად დიდმა შრომამ და ჯაფამ იმ სანატრელ დღემდე ჩააყენა მევენახობა, რომ წეველს (წევაში სულ გლეხები არიან) არამც თუ სამყოფი, თუ კარგი წელიწადი შეუხვდა, გასასყიდელიც-კი მოჰყავს ღვინო. სხვა ჭირნახულზედ-კი ღარიბად გახლავთ წეველი, მაგრამ ღვინის კარგ მოსავალს გამოჰყავს გაჭირვებიდამ.

თუმცა ეს ყველა ასეა, მაგრამ სამწუხაროდ, წევას ამ ბოლოს დროს შემოეპარა ერთი მეტად საძაგელი სენი: ფულის გასესხება მევახშეთაგან უღმერთო, ურიულის სარგებლითა. ორიოდ-სამიოდე ჩვენებური ფულის პატრონი თუ მოასწრობს გლეხს გაჭირვებაში, აღარა ჰზოგავს; აძლევს ფულს სესხად და სამუდამოდ ვალში არჩობს. აქ ხშირია, რომ ფულის პატრონი მანათზედ წელიწადში ათს შაურს ახდევინებს. ორი აბაზი და ექვსი შაური სარგებელი ხომ ხშირია და ხშირი.

ასეთი მაგალითიც არის: ასესხებს ფულიანი კაცი გლეხს, ვსთქვათ, ხუთს თუმანს და წელიწადში სარგებლის მაგიერ ყოველ კვირა ორს დღეს ამუშავებს თავის სასარგებლოდ, ან სარგებელში მოჯამაგირედ ჰყავს უფასოდ გლეხ-კაცი.

ზოგს ორი დღე მუშაობა კვირაში ეფოტება კიდეცა. ხუთის თუმნის

---

შეეჩვიონ რიგიან საქციელს ავადმყოფებისადმი და, თუ როდისმე ჩამოვლენ ტფილისში, აჩვენონ რიგიანობის მაგალითი ჩვენს მკურნალებსაც.

**

ვთქვათ, ტფილისის ექიმებს თელავიდამ აჩვენეს მაგალითი, თუ როგორ უნდა მოეპყრან ავადმყოფებს. ამ ლანჩხუთისა და ჩხიროულის თემს ვინ-და მიუვათ და დაადებინებს ცხვირს იმაზე, თუ როგორ უნდა მეცადინეობა შვილების გამოზრდასა და სწავლებაში.

გააჭირეს საქმე ჩვენმა კორრესპონდენტებმა—ჰაი, ლანჩხუთი და ლანჩხუთიო. ლანჩხუთი თაიგულია გურიისა-და, ლანჩხუთის ხალხი მიხვედრილია-და, ლანჩხუთში მრეწველობა ცამდის ასულა-და, ლანჩხუთის აბრეშუმი, ხელთ-საქმე და ათასი სხვა. ვინ მოსთვლის! ბატონო, თუ ემაგეთი თაიგულია ეგ თქვენი ლანჩხუთი, მაშ როგორ მოუვიდა, რომ სკოლისათვის ჯერაც არა აქვს შენობა! როგორ მოუვიდა, რომ ჩაავლო საძირკველი, კედლებიც წამოაშენა, და ეხლა რომელ ლანჩხუთელსაც უნდა ჰკითხო—აბა, როდის იქნება მზად შენობაო, გეტყვით: „ბარე ორი ტურა დაიჭყავლებს, სანამ ამას დაასრულებენო!" ეს არის თქვენი ლანჩხუთი თავისის მცხოვრებლებით! არა, ჩემო კარგებო,

ვინც ვერა ჰკავს კახაბერს,
მე ვერ გიტყვი კახაბერად.

ან მოდი შენა და კახაბერი დაუძახე ჩხიროულის თემის კაცსა. ჯერ ხომ ჰქონდათ სკოლა, ბავშვები დაიარებოდნენ. მაგრამ სკოლა ცოტა დაშორებით იყო. ამიტომ მზრუნველმა ხალხმა სოფლის შუა-გულს მოიწადინა სკოლის გადატანა. ძალიან კარგი და პატიოსანი. მაგრამ აგერ გაურიგდნენ ვიღაც იჯარადარს, რომელსაც ორ თვეზე უნდა დაემზადებინა სკოლის შენობა. წელიწადზე მეტი მიდის, და შენობა ჯერაც მზად არ არის. „ჩაყარეს საძირკველი და ერთს ქვას დასდებენ დღეს, ერთსაც ხუთის კვირის შემდეგ, და ჩვენი მოსწავლე ბავშვები კი მინდორში დარბიანო", იწერება ჩვენი იქაური მოამბე...

**

წარმოიდგინეთ, რომ ლანჩხუთის თემსა ჰყავს ცხრა ასამდე კომლი, ხოლო ჩხიროულისას ექვს ასამდე. აბა ახლა შეჰხედეთ სამს სოფელს, რომელთაც სულ სამოცი კომლი მოსახლე ჰყავთ. აი ეს საკვირველი სოფლები ტფილისის გუბერნიაში: დრე, წვერი და წყლურეთი. რა საცოდავი სახელები ჰქვიანთ, მერე ისეთი ჩუმი და წყნარი, რომ მკითხველთა უმრავლესობას ჯერ არც კი გაუგია მათი არსებობა! მაგრამ აბა ამას იქითაც ნუ გეცოდინებათ ეს სახელები. ამ სამოცმა კომლმა რამდენისამე თვის განმავლობაში თავი-თავს მოუყარა შვიდას თუმანს ფულს, რომ ბანკისაგან შეისყიდონ მირიმანოვისეული მამული, რომელიც დაგირავებულია ოთხი ათას თუმანში. აბა ამასა ჰქვიან,

თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ ჩაითვლები?

რა სიმდიდრე უნდა ჰქონოდათ სამოც კომლ მოსახლეთ, რომელნიც სულ ხიზნებად იყვნენ? იმათ ებადათ ისა, რაც აბადია ყოველ ღარიბ ქართველ კაცსა. საქმე მოთავეობა, ჭკუა და ერთმანეთის ზურგის მიცემა გახლავთ. ყოველთვის ასე ყოფილა—თავის დღეში გაცალკევებული კაცი, შეძლებულიც რომ იყოს, ვერ მოახერხებს იმას, რაც შეუძლიან ამხანაგობას, მეტადრე თუ ასეთი გამრჯელი და რიგიანი იქნება, როგორიც გამოდგა ამხანაგობა ხსენებულის სოფლებისა. ზურგი მისცეს ერთმანეთსა და ამითი მართლა სამაგალითო საქმე გააკეთეს: ხელში ჩაიგდეს ხუთი ათას ოთხას დღიურამდე მამული, და თუ გლეხკაცს ზურგზე მამული აკრავს, თვით ყვენსაც აღარ მისცემს სალამს, მეტი ბედნიერება რაღა უნდა.

განა ცოტა მამული გაყიდულა ბანკების მიერ, რომ სხვა სოფლებს ეს ვერ მოუხერხებიათ, მერე ისეთს სოფლებს, რომელნიც თავიანთ სიმდიდრით ოცჯერ შეჰკრავენ და გაჰხსნიან ასეთს სოფლებს, როგორნიც არიან დრე, წვერი, წყლურეთი? მაგრამ რა გამოვიდა იმათ სიმდიდრისაგანა და სიდიდისაგან, თუ კი მიხვედრილობაზედ უკაცრავად ბრძანდებიან, თუ-კი არა აქვთ ერთმანეთში პირიანობა და მგლებივით ცალკ-ცალკე იყურებიან ტყისაკენა!..

**

ეს ჩვენი სათავად-აზნაურო დეპუტატთა კრებული სხიდ-ლა იყურება. ნეტავი მითხრა, რითი სწადიან მოამჯობინოს თავისი წამხდარი საქმე. კანცელარიის სახლში ქირას არ იძლევაო, მოსამსახურე-მოხელეთ ჯამაგირებს არ აძლევსო. საქმეების საწარმოებლად ფული არ შემოაქვსო. იქნება ესეც სიღარიბით იყოს? იქნება მირიმანოვისეული სამოცი კომლი ხიზანი შვიდჯერ მდიდარი იყოს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობაზე? ეს ხომ წარმოსადგენადაც სასაცილოა და სათქმელად სასირცხვილო. მაშ რა მიზეზია, რა? ტყუილად-კი არ იძახის საკანცელარიო სახლის პატრონი: დალოცა ღმერთმა ქართველი კაცი, რომელმაც გვიანდერძა ანდაზა, რომ

აზნაურის სტუმრობაო
ნუ გგონია სუმრობაო.

„რა ღმერთი გამიწყრა, რაზედ მივაქირავე ჩემი სახლი ამ კანცელარიას. ის არ მერჩივნა, დამეყენებინა ვინმე საწყალი ხელოსანი, საქმეს მაინც გავაკეთებინებდი, თუ ფულს ვერ გამოვიტანდი, ან არა და, როცა მინდოდა, დავითხოვდი სახლიდამ, სხვას მივაქირავებდი. თუ არავინ დამიდგებოდა, ის ჯავრი მაინც არ მომკლავდა, რომ მუქთად მიდგა მდგმურიო".

მაგრამ რა ჩვენი საქმეა ამისთანა მძლავრ ხალხთან შეჭიდება და გამოლაპარაკება. თითონ იციან და თავიანთმა თავ-მოყვარეობამ, როგორც გაიტანენ თავის საზოგადო საქმეს. ან როგორ გავბედავთ, რომ მივუთითოთ მირიმანოვისეულ ხიზნების მაგალითზე, თუ როგორ უნდა წაიყვანოს ადამიანთა კრებულმა თავისი საკუთარი საქმე. სჯობს გაჩუმდეთ, რადგან გვესმის, რომ

უკვდს დროსა სიტყვა უნდა,
ლაზარვს მასა ადგილი.

ხანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარგებლად კი ძალიან ცოტაა ორის დღის მაგივრად უკეთ კვირაში სამ-სამი დღე უნდა იმუშაოთ, რა ქნას ილაჯ-გაწყვეტილმა გლეხმა? ფულის გადასდა არ შეუძლიან და ისევ იმას არჩევს, თვითეულ კვირაში სამ-სამი დღე იმუშაოს, ვიდრე ჯარიმა და ნეუსტოიკები იხადოს განრისხებულის ფულის პატრონის სასარგებლოდ. რომ ვიანგარიშოთ გამოდის, რომ ხუთის თუმნის სარგებელში, გლეხმა უნდა იმუშაოს თითქმის ნახევარ-წელიწადი. სულ რომ მცირედი ჩავაგდოთ, დღიური ქირა მუშისა ყოველთვის აღემატება ორ აბაზს, ნამეტნავად ჩვენში, სადაც ოთხ აბაზამდისაც-კი მოატანს ხოლმე. ადვილად შეგვიძლიან ამის შემდეგ ის დასკვნა გამოვიყვანოთ, რომ ხუთს თუმანს ბევრით გადააჭარბებს წლიური სარგებელი, და ათის შაურის მაგივრად მანეთი ექვს აბაზზედ მეტს სარგებელს იძლევა. ნუ თუ ეს უღმერთობა, ურიობა არ არის?!

ს. ჯ—ძე

## წერილი

### ქუთაისის საბჭოს ხმოსან ბ-ნ დავ. მიქიაშვილის მიმართ.

ბ-ნო დავით! გუშინდელს „ივერიის“ მე-165 №-ში წავიკითხე თქვენი მწუხარებით სავსე წერილი ქუთაისის ქალაქის საბჭოსა და, განსაკუთრებით, ჩვენის ქალაქის თავის თქვენ წინააღმდეგ მოქმედების შესახებ.

ჭეშმარიტად, ძლიერ სასიამოვნოა, რომ „მნენიების“ წრის გარდა თქვენ, ბ-ნო დავით, „სტატიების“ წრაცა გცოდნიათ! აფერუმ, ჩვენო დავით, აფერუმ!!

თქვენ ჰგოდავთ (ბოდვა არ გეგონოთ!) იმ თქვენს წერილში, რომ არც ერთი თქვენი წინადადება ქალაქის ინტერესების დასაცველად და სასარგებლოდ არ გადის ჩვენს საბჭოში; რომ ყოველი თქვენი ამისთანა წინადადებანი „უკუ-გდებულნი“ რჩებიან ხოლმე და... ყველაფერს ამას აბრალებთ თქვენ თქვენსავე ამხანაგებს-ხმოსნებს და, განსაკუთრებით, ქალაქის თავს, ბ-ნ ა—ნს. მე, თქვენი ერთი ამომრჩეველთაგანი, ძალიან ჩამაფიქრა ამ თქვენმა წერილმა! ან ჩვენ უნდა ვიყვნეთ, ვფიქრობ, შემცდარნი, რომ ამოგირჩიეთ თქვენ, იმისთანა კაცი, რომელსაც არავითარი ჩვენთვის სასარგებლო არ გაუდის საბჭოში, ან დანარჩენი თქვენნი ამხანაგნი, ჩვენგანვე ამორჩეულნი, უნდა იყვნენ შემცდარნი, რომ ამდენი ხანია ვერ უცვნიხართ, ან კიდევ ქალაქის თავი ერთობ მაღლა იწევს თავს, რომ ჯეროვნად ვერ გიცნობთ, და ან უკეთ ვერ უცვნიხართ, თუ ვინ და რა ბრძანდებით?! თქვენ უფრო გამოიცნობთ, თუ ამ ოთხს მოსაზრებაში რომელი უფრო მართალი და ჭკუაში მოსასვლელია!

მე კარგად ვიცი, რომ გინდათ... თქვენს დედა ქალაქს დაეხმაროთ! მაგრამ დახედეთ ამ სოფლის სიმუხთლეს! ამდენი მეცადინეობა და — ამ-ნ თქვენი ჭირი წაიღოს — ხარჯიც-კი სულ ტყუილად გეკარგებათ! ასე წარმოიდგინეთ, ბ-ნო დავით, ეს თქვენი ამხანაგები იმასაც-კი არ მოიგონებენ, თუ რა ნაირი თავგადადებული მოსამსახურე იყავით თქვენ ქუთაისისა.

ეჰ! სად არის სამართალი! აფსუს, ბ-ნო დავით, ჩვენო ძველო დროვ! ამაზე მეტი უმადურობა შეიძლება?!

თქვენი წინადადება, რომ ქალაქის ფულება უგზო-უკვლოდ იხარჯება, უკუ უგდიათ განა? ვინაა პატრონი! და, რა საკვირველია, ყველა თქვენი ამხანაგნი ხმოსნები პასუხის გებაში არიან მისაცემნი... საპარადო სადილებში ფულის დახარჯვისათვის, მაგრამ (ამას საიდუმლოდ მოგახსენებთ) ვაი თუ, ბ-ნო დავით, თქვენმა ფლანგველმა ამხანაგებმა შანი მოგიგონ! რატომაო? მეტყვით. აი რატომ: გახსოვთ, ერთხელ იმავე თქვენმა ამხანაგებმა რომ ერთს თქვენს ამხანაგს, მეგობარს და ნათესავს (ნეტარ-ხსენებულს ქალაქის ტყის მომვლელს) ორმოცდა-თერამეტი საჟენი ქალაქის შეშა უფეშქაშეს და ზედ ოცი თუმანიც დაუთავეს ქალაქის სამაგალითო სამსახურისათვის (ამ სამაგალითო სამსახურის დროს დააკლდა თურმე იმ თქვენს ნათესავს იმდენი საჟენი შეშა!..) და თქვენ მაშინ ამის წინააღმდეგ ხმა არ ამოგიღიათ?

მაგრამ ამაში თქვენ ვინ შეგწამებთ მიდგომით საქმის გარდაწყვეტას?..

ერთის სიტყვით, დაჩაგრული ხართ, მაგრამ რადა, რა მიზეზით?! დღეიდამ შევუდგები ამის მიზეზების გამოკვლევას და მანამდისინ-კი, როგორც თქვენი ერთი, საუბედუროდ, ამომრჩეველთაგანი, გულ-წრფელად გირჩევთ, რომ შთამომავლობისათვის უწუწუროთ შეინახოთ ის სახელი, რა სახელიც პოლიციის მოხელეობის დროს დაგიმსახურებიათ. დაანებეთ თავი ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნობას! „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობსო“, უთქვამთ ჩვენს ბრძენთ. აღარ არის, ბ-ნო დავით, ის დალოცვილი ძველი დრო და დაბრუნებაც მისი ხომ ყოვლად შეუძლებელია!..

ერთი თქვენი ამომრჩეველთაგანი

12 აგვისტო

## წვრილი ამბები

— საფრანგეთში განუზრახავთ ახალი წვრილი ფული შემოიღონ ნიკელისა. ეს წვრილი ფული რგვალი იქნება, ერთის მხრივ ზედ საფრანგეთის რესპუბლიკა უნდა იყოს ამოჭრილი და შუაში 5 სანტიმი (2½ კ.); მეორე მხრივ-კი ეწერება სიტყვები: თავისუფლება, ერთობა, ძმობა და შუაშიაც რიცხვი „5“. ამავე სახისა უნდა იყოს 10, 20 და 25 სანტიმიანი.

— იაპონელთა შორისაც ევროპული განათლება ვრცელდება. ამას წინად, მაგალითებრ, იაპონიაში ერთი ბანკირი გაკოტრებულა და ყველას ფული შეუჭამია. იაპონიის მთავრობას კვლავ კოტრობის ასაცილებლად გამოუცხადებია, რომ დღეიდგან ვინც 1,200 მან. წინდად არ შემოიტანს, იმას ბირჟაზე თამაშობის ნება არ მიეცემაო.

— ვენიდგან ბოლგარიაში წასვლა რომ გადაუწყვეტია პრინც კობურგისას, თავისის თავის დაზღვევა მოუწადინებია ვენაში 400,000 მანათად. ოთხსავე ადამიანის სიცოცხლის დამზღვეველ საზოგადოებას უარი გამოუცხადებია პრინცისათვის, თუმცა პრინცს ჩვეულებრივზე მომეტებული სარგებელი შეუძლევია. ამ სარგებლით მხოლოდ ერთს ადამიანთა სიცოცხლის დამზღვეველ საზოგადოებას შეუძლევია პრინცისათვის 150,000 მან., და ამ გვარად პრინც ალექსანდრე ბატენბერგზე უფრო იაფად დაუფასებია პრინცი კობურგისა, რადგან ამავე საზოგადოებამ ალექსანდრე ბატენბერგი 162,500 მან. დააფასა დაზღვევის დროს.

— ამერიკაში სულ 21,000,000 ძროხაა თურმე. თითო ძროხა წელიწადში 350 თუნგ რძეს იწველს, ასე რომ სულ ამერიკას წელიწადში 7,350,000,000 თუნგი რძე მოსდის. ამ რიცხვიდგან 400,000,000 თუნგს ერბო-კარაქზედ ჰხმარობენ, 700,000,000—ყველზედ და დანარჩენს ისე სვამენ ამერიკის მკვიდრნი.

— ოსმალეთის მთავრობამ სატირკულიარო ნოტა დაურიგა ყველა დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, რომელშიაც აცხადებს, რომ ოსმალეთს განზრახვა აქვს დღეიდგან განდევნოს ხოლმე სამზღვარ-გარეთის გაზეთების კორრესპონდენტები. იმ კორრესპონდენტმა, რომელიც ოსმალეთის მიწა-წყალზედ მოიწადინებს ცხოვრებას, ორი სანდო მცხოვრებელი უნდა წარუდგინოს მთავრობას თავდებად, რომ ცუდს არას დასწერს როგორც თვით სულთანსა, აგრეთვე ოსმალეთის პოლიტიკაზედ. თუ კორრესპონდენტი თავდებს ვერ იშოვნის, დაუყოვნებლივ იქმნება განდევნილი ოსმალეთის მიწა-წყლიდგან. ხოლო თუ თავდები იშოვნა და მაინც ოსმალეთისათვის არა-სასურველ კორრესპონდენციების წერას თავი არ დაანება, სასტიკად იქმნებიან დაჯარიმებულნი თავდებნი, რომელნიც ვალდებულნი არიან კორრესპონდენტის ყოველსავე მოქმედებას თვალყური ადევნონ.

## გასართობი

ამ რამდენისამე დღის წინად ისპანიის დედოფალი ქრისტინა თავის ყმაწვილებით წასულა განთქმულს ქალაქს სეგოვიაში. ძველს სამლოცველოს კარებთან ხატი ასვენია ღვთისმშობლისა, რომელზედაც გარდმოცემა ამბობს, რომ როცა ზანგები ცხოვრობდნენ სეგოვიაში, ღვთის-მშობლის ხატი სრულიად გაქრა და კათოლიკე მღვდლების მოსვლაზედ-კი ისევ გამოჩნდაო. დედოფალს ვაჟიშვილი ხელში ეჭირა და ისე მივიდა ხატთან თაყვან-საცემლად და სამთხვეველად. კარებში დედოფალს შეხვდა ჰერცოგი მედინა და სიტყვით მიეგება. ხოლო დაიწყო თუ არა ჰერცოგმა ლაპარაკი, ჯერ ორიოდე სიტყვაც არ ეთქვა, რომ ყმაწვილმა ხმა-მაღლა ყვირილი მორთო ისე, რომ ჰერცოგის სიტყვისა აღარა გაიგებოდა-რა. დედოფალს ძალიან შერცხვა და არ იცოდა, როგორ გამოსულიყო ამ მდგომარეობიდგან; ჰერცოგმა-კი თავი მძიმედ დაუკრა და მოახსენა:

— როცა მეფის ხმა ისმის, მაშინ ყველანი უნდა დაჩუმდნენ და დადუმდნენო.

დედოფალს ძალიან მოეწონა ჰერცოგის მოსწრებული სიტყვა და ბევრიც იცინა თურმე.

**

ერთი წარმომადგენელი ქალი ამერიკის მაღალისა და წარჩინებულის საზოგადოებისა, მისტრისს ჯენნი პოტტერი, არტისტად შესულა. ამ ქალს ამას წინად ლონდონში უთამაშნია პიესა „Mademoiselle de Brés·sier“-ში და ამასთან ამ პიესის ავტორს ალბერ დელპის პირობით შეჰკვრია, რომ ამ პიესის გმირი-ქალის თამაშობის უფლება ჩემს მეტს არავის არ უნდა ჰქონდესო.

ამერიკის გაზეთებს საზოგადოდ ცოდვა გამომჟღავნებული უყვართ, და ამიტომ პირ-და-პირ აუწყებენ მკითხველთ ამ ქალის შინაურს ცხოვრებას. ერთი სათეატრო ფურცელი, მაგალითებრ, პირ-და-პირ ამბობს: „მისტრისს პოტტერი სრულიად გაეყარა მისტერ პოტტერსაო“. როცა მისტრისს პოტტერი ინგლისის ერთს თეატრში აქტრისად შედიოდა და პირობით ეკვრებოდა, მაშინ ერთის დღით ინგლისში მივიდა თურმე ამერიკელი არისტოკრატი და ცოლისაგან თეატრში შესვლის სურვილი რომ გაიგო, პირ-და-პირ გამოუცხადა ქმარმა:

— ან არტისტობასა და თეატრში შესვლას სამუდამოდ თავი დაანებე, ან დღეიდგან მე თქვენ სრულიად არ გიცნობთ და შორს და მშვიდობითაო.

ამ პირდაპირმა მუქარამ არ შეაშინა თურმე ახალგაზდა ქალი. მისტრისს პოტტერს გადაწყვეტილი ჰქონდა თეატრში შესვლა, გულით მოწადინებული იყო თურმე არტისტად გახდომას და ქმართან გაყრა არჩია თავის გულის წადილის აუსრულებლობას.

## დეპეშა

13 აგვისტო

ნიჟნი-ნოვგოროდი. დღეს მოვიდა აქ ფინანსთა მინისტრი და კრემლში ჩამოხდა, გუბერნატორის სახლში. 11½ საათზედ მინისტრმა ინახულა ქალაქისა და იარმუკის ვაჭრები, და შემდეგ იარმუკაც დაათვალიერა.

ბერლინი. „ჩრდილოეთ-გერმანიის საზოგადო გაზეთი“ კვლავ სასტიკადა ჰკიცხავს კობურგის საქციელს და ამბობს, რომ მართალია ის ამბავი, ვითომ ოსმალეთმა გამოუცხადა პრინც კობურგისას, ოსმალეთი და დიდნი სახელმწიფონი უკანონოდა სთვლიან თქვენს საქციელსაო. კერძო ამბავი მოვიდა სოფიიდგან: ოსმალეთმა, ზემოხსენებულს გარდა, პრინცს ბოლგარიიდგან წასვლაცა სთხოვა, მაგრამ ბოლგარიის მინისტრთა რჩევამ დაადგინა, რომ ოსმალეთის ამ მოთხოვნილებას ყურადღებას ნუ მივაქცევთო.

### პეტერბურგის ბირჟა, 11-ს აგვისტოს ფასები:

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 27 |
| ტამოჟნის კუპონები | — » | — » | 180 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — » | — » | 276½ |
| — მეორისა | — » | — » | 256 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ქუთაისის ბანკისა | — » | — » | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — » | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ(1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აგვისტო 31 დღით არის.

**15 დღე შაბათი.** მიცვალება ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის მარიამისა. კათოლ. წმ. მარიამის მიცვალება. იოსებისა და იოანნასი. სომეხ. დღესასწაული წმ. ეჩმიაწინისა. ნავაკატიქი. მუსულ. მე-9 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—20, ჩადის 6—43. მთვარე 9 დღისაა.

**16 დღე კვირა.** დღესასწ. უფლის იესო ქრისტეს ხელთ-უქმნელის ხატისა. კათოლ. იოხამისა, როხასი და გიაცინტასი. სომეხ. მიცვალება წმ. ღვთის-მშობლისა. კურთხევა ყურძნისა. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიისა ტფილისში. მუსულ. მე-10 რიცხვი თვისა ზილ-ჰიჯასი, 1304 წ. ჰიჯრისა ყურბან-ბაირამი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—12, ჩადის 6—41. მთვარე 10 დღისაა.

**17 დღე ორშაბათი.** წმ. მირონისა კათოლ. ანასტაზიასი და ემილიასი. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი. გარდაცვალებულთა კურთხევა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39. მთვარე 11 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

#### ნიხრი

1 აგვისტოდამ 1 სექტემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | 3 | » |
| » 2 » | 2½ | |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | » |
| მე-2 ხარისხისა | 4 | » |
| მე-3 — | » | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 7 | » |
| » 2 » | 6 | » |
| სუკი | 13 | » |
| ცხვრის ხორცი | 7 | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა | » | » |
| » 2 » | » | » |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით სამუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გზაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავიანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## კერძო განცხადებანი

სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ ამა მდგომარე 1887 წ. ენკენისთვისათვის სკოლის პირველს განყოფილებაში ორმოცი (40) ვაკანსია იქნება, მეორეში ექვსი (6) და მესამეში და მეოთხეში შეიძლება მხოლოდ შემთხვევით აღმოჩნდეს ვაკანსია. პირველს განყოფილებაში მისაღებ ყმაწვილებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 15 აგვისტოდამ 25-დის და თან წარმოადგინონ შემდეგი საბუთები: მოწმობანი წლოვანებისა და აზნაურობისა, ანუ ბანკის გამგეობის კვიტანცია, რომ მოსწავლის მშობლები (დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთაგანი არიან. პირველს განყოფილებაში შვიდისა და რვა წლის ყმაწვილი მიიღება, მეორეში ცხრისა, მესამეში ათისა და მეოთხეში თერთმეტისა. თანახმად საბანკო კრების გარდაწყვეტილებისა, სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებელში ყმაწვილის მიბარების უფლება აქვთ ქუთაისის გუბერნიის ყოველი მაზრის თავად-აზნაურთა. (8—8)

Дозв. цен. Тиф. 14 августъ, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე